შირაქი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№47 (9.808)
2 – 9 დეკემბერი 2017 წელი

ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მერმა მოადგილეები წარადგინა

გვ.3



გვ.4

ანსამბლ „იმედის“ 10 წლის იუბილეზე

არხილოსკალოსა და არბოშიკში მიწის რეგისტრაციის პროექტი იწყება

გვ.3

კახეთში მუნიციპალური ნაგავსაყრელები დაიხურება და რეგიონული პოლიგონი მოეწყობა

გვ.2

აივ/შიდსი არ ნიშნავს სასიკვდილო დიაგნოზს

გვ.6

გვ.8

ძეგლების „პროტესტი“

ვის ეკუთვნის „შავი ოქრო“?

გვ.5

C M Y K

კახეთში მუნიციპალური ნაგავსაყრელები დაიხურება და რეგიონული პოლიგონი მოეწყობა

2019 წლისთვის კახეთის რეგიონში არსებული ნაგავსაყრელები დაიხურება. საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის ინფორმაციით, უახლოეს მომავალში გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაანში რეგიონული ნაგავსაყრელის მოწყობა იგეგმება, რომელიც ევროსტანდარტების შესაბამისი იქნება.

როგორც კომპანიის კახეთის რეგიონულმა კოორდინატორმა, ანზორ სანდროშვილმა განაცხადა, აღნიშნულ ნაგავსაყრელზე რეგიონის რამდენიმე მუნიციპალიტეტიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენებს შეიტანენ. მისივე თქმით, ნაგავსაყრელის ასაშენებლად საერთაშორისო ტენდერი გამოცხადდება. ახალი ნაგავსაყრელების პროექტის განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას. ანზორ სანდროშვილის განცხადებით, რეგიონში არსებული დანარჩენი ნაგავსაყრელები სტანდარტების შესაბამისად დაიხურება.

მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის დირექტორი გიორგი შუხოშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ მუნიციპალიტეტებში ნაგავსაყრელების დახურვის შემდეგ გადამტვირთი სადგურები იმოქმედებს, რომლებიც ნარჩენებს რეგიონულ ცენტრში გადაიტანს.

„გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკთან უკვე ხელმოწერილია ხელშეკრულება, მათი დახმარებით ახალ რეგიონულ ნაგავსაყრელს მოვაწყობთ, რის შემდეგაც დაიხურება რაიონული ნაგავსაყრელები, მათ შორის ახლადგახსნილი და კეთილმოწყობილი პოლიგონებიც. იმოქმედებს გადამტვირთი სადგურები, რითიც მუნიციპალური ნაგავსაყრელები ცენტრალურს დაუკავშირდება და ყველა მუნიციპალიტეტიდან შემოსული ნარჩენები ერთ სივრცეში მოიყრის თავს“, – აღნიშნა გიორგი შუხოშვილმა.

„გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაანის ტერიტორიაზე მოეწყობა დახურული მუნიციპალური ნაგავსაყრელი, სადაც კახეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტიდან ნარჩენების შეტანა შესაძლებელია. იქ ასევე ნარჩენების გადაამუშავებენ. პირველ ეტაპზე დავაკვირდებით საბოლოო ჯამში რა რაოდენობის ნაგავს მივიღებთ და შემდეგ სათანადო ინფრასტრუქტურაც აშენდება“, — განაცხადა ანზორ სანდროშვილმა.

პროექტის პარტნიორია საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია **(SWMCG),** ხოლო მხარდამჭერია გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, რომელიც საქართველოს მთავრობას ნარჩენების მართვის მხრივ ვითარების გაუმჯობესებაში ეხმარება.

დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ამბობს, რომ რეგიონული ნაგავსაყრელი იმავდროულად ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოც იქნება, რაც სიახლეა.

„დედოფლისწყაროს ახლადაღდგენილი ნაგავსაყრელი დაკონსერვდება, თუმცა მას შემდეგ კვლავ მოხდება სოფლებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების ისევ დედოფლისწყაროში ტრანსპორტირება. ისინი სპეციალურ კონტეინერებში მოთავსდება და გაიზიდება გურჯაანში მოწყობილ რეგიონულ ნაგავსაყრელზე. მნიშვნელოვანია, რომ კახეთის ყველა მუნიციპალიტეტიდან შეგროვებული ნაგვის სეპარირება მოხდება, რაც სიახლეა, რადგან ნარჩენების გადამუშავება აქამდე არ ხდებოდა. ეს კი ევროპული სტანდარტების მოთხოვნაა და ძალიან მნიშვნელოვანია გარემოზე ზიანის შემცირების თვალსაზრისით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი მუნიციპალიტეტისთვის, როგორიცაა დედოფლისწყარო, სადაც კლიმატის ცვლილების ყველაზე მეტი პარამეტრი დაფიქსირდა. ასე რომ, კახეთის რეგიონი და მათ შორის დედოფლისწყაროც, საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის ყველაზე თანამედროვე მოდელზე გადადის,“ – განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვაზე და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისთვის ამ პრობლემის მნიშვნელობაზე საუბრობს „მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრების“ თავმჯდომარე ნინო ჩხოტბაძე.

„დედოფლისწყაროს გაჩნდა ნაგავსაყრელი, თუმცა წლების მანძილზე იყო ქაოსური ვითარება. ამასთან, ბოლო წლებშიც არ ხდებოდა ნაგვის გატანა ერთდროულად ყველა სოფლიდან. სოფლებში ამ მომსახურების შეთავაზება ეტაპობრივად მოხდა. ასევე სოფლებში კონტეინერების სიმცირის პრობლემა დავაფიქსირეთ. გარდა ამისა, დედოფლისწყაროში არის ცხვრის გადასარეკი ბილიკები, სადაც ასევე მრავალი წლის მანძილზე იყო სტიქიური ნაგავსაყრელები, რის გამოც ცხვრის დაცემის შემთხვევები ფიქსირდებოდა. მაგრამ, როცა ისეთ ადგილებში გვხვდება ნაგავი, როგორიც „არწივის ხეობაა“, უკვე რთულია შეფასებაზე საუბარი. ამ უნიკალურ ადგილას წყალს მთელი სოფლის ნაგავი შემოაქვს. მაშინ, როცა დაცულ ტერიტორიაზე დღესაც ეს სურათია, ძნელია აუთვისებელი ტერიტორიების სისუფთავეზე ვიმსჯელოთ. მთლიანი მოსახლეობის ჩართულობაა აუცილებელი, ერთობლივად უნდა მოხდეს ამ პრობლემის დაძლევა და ვითარების გაუმჯობესება, “ – ამბობს ექსპერტი, ნინო ჩხობაძე.

დედოფლისწყაროელებს კარგად ახსოვთ, მრავალი წლის მანძილზე, გაზიფიკაციის შენობას რომ გასცდებოდი, ე.წ. „ლეტნიკის“ ტყისკენ მიმავალ გზაზე, სატელევიზიო ანძამდე ნაგვის გორები იდგა. რამდენჯერმე ამოქმედდა საჯარიმო სანქციებიც, მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩებოდა, მოსახლეობას ისევ ეზარებოდა ნაგვის ზემოთ ატანა და გზაშივე ყრიდა. დედოფლისწყაროში ნაგვის ცივილური ფორმებით შეგროვება და დაკონსერვება 2013 წლიდან დაიწყო. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ამ კუთხით აქტიურად იმუშავა დედოფლისწყაროს იმჟამინდელმა გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა. სწორედ მაშინ მოხდა სატელევიზიო ანძის მიმდებარე ტერიტორიის და იქ მისასვლელი გზის მთელი პერიმეტრის დასუფთავება.

სულ მალე ხელისუფლებამ სპეციალური კომპანია დააფუძნა, რომელსაც ქვეყნის მასშტაბით საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა დაევალა. შეიქმნა სახელმწიფო სტრატეგია, ერთიანი მიდგომა და განისაზღვრა სამიზნე მუნიციპალიტეტები. პირველი ნაბიჯების გადადგმა კი იმ რაიონებიდან დაიწყო, სადაც ნარჩენების მართვის კუთხით ყველაზე ქაოსური ვითარება იყო.

ხელახლა, თანამედროვე სტანდარტებით მოეწყო დედოფლისწყაროს ნაგავსაყრელიც. მისი კეთილმოწყობა 2015 წლის მარტში დასრულდა. ნაგავსაყრელი, რომელიც 60986.19 მ^2 ფართობს მოიცავს 2007 წლიდან ფუნქციონირებს და ყოველდღიურად პოლიგონის ტერიტორიაზე 80 მ^3 ნარჩენი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან და მისი მიმდებარე სოფლებიდან შედის. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“ დედოფლისწყაროს პოლიგონი 2013 წლიდან გადაეცა. სპეციალისტების შეფასებით, იმ დროისთვის დედოფლისწყაროს ნაგავსაყრელი პოლიგონი სტანდარტების შეუსაბამოდ ოპერირებდა. ნარჩენების შეტანა ხდებოდა არაორგანიზებულად. ასევე, ნაგავსაყრელზე არ ხორციელდებოდა კონტროლი და სანიტარული ზედამხედველობა, ტერიტორია არ იყო შემოღობილი და ხდებოდა როგორც მოქალაქეების, ისე ცხოველების გადაადგილება. ნაგავსაყრელი ვერ აკმაყოფილებდა ეკოლოგიურ და სანიტარულ ნორმებს. ამას გარდა, პოლიგონის ოპერირება ზიანს აყენებდა გარემოს და საფრთხეს უქმნიდა ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობას. ვითარებას ის გარემოებაც ართულებდა, რომ დედოფლისწყაროში კლიმატის ცვლილების ყველაზე მეტი პარამეტრი შეინიშნება, ქაოსური ნაგავსაყრელები კი ამ პროცესს ხელს მნიშვნელოვნად უწყობს.

2015 წელს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციით, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“, დედოფლისწყაროში მუნიციპალური ნაგავსაყრელის კეთილმოწყობის მიზნით, ტერიტორიის შემოღობვა განახორციელა, მოაწყო პოლიგონის შიდა გზები, წყალარინების არხები. ასევე, მოხდა ტერიტორიის ელექტროფიცირება. მოეწყო მინის კავალიერები შემდგომი ექსპლუატაციისთვის. ნაგავსაყრელი აღიჭურვა სპეც-ტექნიკით. განახლებული პოლიგონის ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ, მოქმედი სტანდარტების შესაბამისად, განისაზღვრა ნარჩენების მიღება და მათი განთავსება პოლიგონზე გამოყოფილ სპეციალურ უჯრედებში, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს გარემოზე მავნე ზემოქმედებას. უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებას და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. ნაგავსაყრელის კეთილმოწყობის პროექტი, რომლის ღირებულებამ 230 000 ლარი შეადგინა, დაფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და განახორციელა ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ — შპს „ლავა“.

ილია მარტყოფლიშვილი

პარლამენტმა სახალხო დამცველად ნინო ლომჯარია აირჩია

პარლამენტმა ახალი სახალხო დამცველი აირჩია. ომბუდსმენის თანამდებობა 5-წლის ვადით ნინო ლომჯარიამ დაიკავა, რომელიც პარლამენტს უმრავლესობაში შემავალმა ფრაქციებმა შესთავაზეს. ლომჯარიას არჩევა 96 ხმით, 5-ის წინააღმდეგ მოხდა.

სახალხო დამცვლის პოსტზე საკუთარი კანდიდატურა პარლამენტს ფრაქციამ "საქართველოს პატრიოტები" შესთავაზა. მათი მხრიდან წარდგენილ გიორგი ფოფხაძეს 20-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. ფოფხაძის კანდიდატურის წინააღმდეგ 27-მა დეპუტატმა მისცა ხმა.

მარიხუანის მოხმარება სისხლის სამართლის წესით აღარ დაისჯება

მარიხუანის მოხმარება სისხლისსამართლებრივი წესით აღარ დაისჯება. საკონსტიტუციო სასამართლომ მოქალაქე გივი შანიძის კონსტიტუციური სარჩელი დააკმაყოფილა და არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი, რომლითაც ექიმის დანიშნულების გარეშე მარიხუანის მოხმარება დასჯადი იყო.

გივი შანიძის ინტერესებს სასამართლოში „გირჩის“ წარმომადგენელი იაგო ხვიჩია იცავდა. საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება დღეს გამოცხადდა.

მოსარჩელის განმარტებით, მარიხუანის მოხმარება შეიძლება მოხდეს როგორც სამედიცინო, ასევე გართობის მიზნით. პირის უფლება საკუთარი სურვილისამებრ შეარჩიოს განტვირთვისა და დასვენების მისთვის მისაღები ფორმა და საშუალება, დაცულია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ჩარევისგან აბსოლუტურად დაცული სფეროთი. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მარიხუანის მოხმარება არ წარმოადგენს საზოგადოებრივი საფრთხის მატარებელ ქმედებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ პირის უფლება, თავად შეარჩიოს განტვირთვის მისთვის სასურველი სახე და განახორციელოს შესაბამისი აქტივობა, მათ შორის, მოიხმაროს მარიხუანა, წარმოადგენს პიროვნების პირადი ავტონომიით დაცულ სფეროს.

ამასთან, ვინაიდან მარიხუანის მოხმარებით ადამიანის ჯანმრთელობას შეიძლება მიადგეს გარკვეული ზიანი, სასამართლომ აღნიშნული უფლების შეზღუდვა დასაშვებად მიიჩნია ისეთი ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, როგორებიცაა, მაგალითად, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა და სხვა.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ცალკე აღებული მარიხუანის მოხმარების ფაქტი, აღნიშნული ქმედების ბუნებიდან გამომდინარე, ნაკლები საფრთხის შემცველია საჯარო ინტერესისთვის, რადგან ამ დროს მცირეა ნარკოტიკული საშუალების გავრცელების შესაძლებლობა. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ნარკოტიკული საშუალების მოხმარებას წინ უძღვის მისი შეძენა ან/და დამზადება, სასამართლომ მიიჩნია, რომ მარიხუანის მოხმარების აკრძალვა წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისკენ გადადგმულ ნაბიჯს, თუმცა სისხლისსამართლებრივი სასჯელის დაწესება იმ მიზნით, რომ პირმა არ დააზიანოს საკუთარი ჯანმრთელობა, წარმოადგენს სახელმწიფოსგან გამოვლენილი პატერნალიზმის ისეთ ფორმას, რომელიც არ არის თავსებადი თავისუფალ საზოგადოებასთან.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლს, ვინაიდან იგი სისხლისსამართლებრივი წესით ბლანკეტურად, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე აწესებს სისხლისსამართლებივ პასუხისმგებლობას მარიხუანის განმეორებით მოხმარებისთვის მოხმარების ადგილის, ვითარების და სუბიექტის, საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის რეალურობის მიუხედავად.

გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის მიერ“, – ნათქვამია საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებაში.

დედოფლისწყაროს მერმა მოადგილეები წარადგინა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის ხელმძღვანელობით სამუშაო შეხვედრა გაიმართა. თათბირს ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები, ა(ა)იპ-ების, მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და განყოფილების უფროსები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოადგილეები წარადგინა. მერის გადაწყვეტილებით, მისი პირველი მოადგილის თანამდებობას სოლომონ ღორაშვილი დაიკავებს, მოადგილის კი-მალხაზ მერაბიშვილი . სოლომონ ღორაშვილი 2012 წლიდან გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი იყო, ხოლო 2014 წლიდან გამგებლის მოადგილე . დღემდე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციაში მუშაობდა მალხაზ მერაბიშვილიც. 2014 წლიდან ის ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობისა და კოორდინაციის განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

სამუშაო შეხვედრაზე დედოფლისწყაროს მერმა თანამშრომლებთან ერთად საახალწლოდ დაგეგმილ ღონისძიებებზე ისაუბრა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა არ გამორიცხა საკადრო ცვლილებები და აქცენტი სოფლის რწმუნებულებზე გააკეთა. „დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ ჩვენს საქმეს. ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ მოვალეობა და პასუხისმგებლობა აუცილებელი ფაქტორია იმისთვის, რომ ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის საქმე გაკეთდეს. ყველამ ჩვენი წილი აგური უნდა დავდოთ ქვეყნის მშენებლობაში“ – აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.



სოლომონ ღორაშვილი დაიბადა 1956 წლის 10 მარტს სოფელ მირზაანში. 1978 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი. 1978-1983 წლებში სოლომონ ღორაშვილი ქარხანა „გრუზსემელში“ განყოფილების გამგედ, 1983-1986 წწ სოფელ მირზაანის კოლმეურნეობის მთავარ ინჟინრად, 1986-1994 წლებში კი დედოფლისწყაროს მეფრინველეობის მთავარ ინჟინრად და განყოფილების გამგედ მუშაობდა. 1999-2012 წწ ის შპს „მირზაანს“ ედგა სათავეში. სოლომონ ღორაშვილი 2012 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობაში ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსად დაინიშნა, სადაც 2014 წლამდე მუშაობდა. 2014 წლიდან მან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის, ხოლო 2017 წლის ნოემბერში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის თანამდებობა დაიკავა.

მალხაზ მერაბიშვილი დაიბადა 1976 წლის 12 ნოემბერს დედოფლისწყაროში. 1994 წელს დაამთავრა სოფელ არხილოსკალოს საშუალო სკოლა და სწავლა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში განაგრძო. სტუდენტობის პერიოდში ის სამხატვრო კომბინატში ხარისხის კონტროლის სამსახურში, მისი დასრულების შემდეგ კი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ახლაგაზრდულ დეპარტამენტში მუშაობდა. ევროსაბჭოს მიერ დედოფლისწყაროში განხორციელებულ სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტს მერაბიშვილი 2005-2007 წლებში ხელმძღვანელობდა, 2007-დან 2010 წლამდე კი საკრედიტო კოოპერატივის აღმასრულებელ დირექტორად მუშაობდა. მალხაზ მერაბიშვილი 2014 წლიდან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობაში ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობისა და კოორდინაციის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. 2017 წლის ნოემბერში მან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობა დაიკავა.

არხილოსკალოსა და არბოშიკში მიწის რეგისტრაციის პროექტი იწყება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს, ნიკოლოზ ჯანიაშვილს შეხვდნენ. შეხვედრა მიზნად ისახავდა დედოფლისწყაროს ადგილობრივი ხელისუფლებისთვის მიწის სისტემური რეგისტრაციის საპილოტო პროექტის გაცნობას, რომელიც 4 დეკემბერს დაიწყება და ჩვენი მუნიციპალიტეტის ორ სოფელში-არხილოსკალოსა და არბოშიკში განხორციელდება. პროექტის ფარგლებში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო საკარმიდამო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების რეგისტრაციისთვის საჭირო ყველა პროცედურას ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით, მოქალაქის ნაცვლად, უფასოდ შეასრულებს.

საპილოტო პროექტი წინასწარ შერჩეულ გეოგრაფიულ არეალებში, კონკრეტულად კი საქართველოს 12 დასახლებაში განხორციელდება და სამ თვეში დასრულდება.

მერიაში გამართულ შეხვედრას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გოჩა სამუკაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გურჯაანში მაწანწალა ძაღლების თავშესაფარი აშენდება

სულ მალე ერთერთი ყველაზე მტკივნეული პრობლემის გადაჭრა დაიწყება. მაწანწალა ძაღლების თავშესაფარი გურჯაანში აშენდება და მთელ რეგიონს მოემსახურება. მშენებლობა მომავალი წლისთვისაა დაგეგმილი და ამაში მონაწილეობას წინასწარი ინფორმაციით, ყველა მუნიციპალიტეტის მერია მიიღებს.

გავრცელებული ინფორმაციით, გურჯაანის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში უპატრონო ძაღლებისთვის თავშესაფრის მოწყობის მიზნით 100 000 ლარი უკვე გაითვალისწინეს. საკითხზე მუშაობენ სხვა თვითმმართველოებიც, რომლებიც ასევე გეგმავენ პრობლემის მოსაგვარებლად ფინანსური სახსრები მომავალი წლის ბიუჯეტში გაითვალისწინონ.

სამუშაო ვერსიით, კახეთის მასშტაბით დაჭერილ უპატრონო ძაღლებს გურჯაანში გადაიყვანენ და სპეციალურ თავშესაფარში მოათავსებენ. რეგიონში მაწანწალა ძაღლების პრობლემა წლებია არსებობს და მოსახლეობამ საკითხის მოგვარება არაერთხელ მოითხოვა. თუმცა, ხელისუფლება დილემის წინაშე დგას, მაწანწალა ძაღლების წინააღმდეგ მანამდე არსებულ არაჰუმანურ გზებს ვერ მიმართავს, მეორეს მხრივ კი ძაღლების მომრავლება მოსახლეობას აწუხებს. ერთადერთი გამოსავალი ძაღლების თავშესაფარში გადაყვანაა, რომელიც რეგიონში ამ დრომდე არ არსებობს.

ანსამბლ „იმედის“ 10 წლის იუბილეზე

ჩვენამდე მოღწეული არქეოლოგიური და უძველესი ლიტერატურული ძეგლებით დასტურდება, რომ ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის ადათ-წესებისა და თამაშობების რიტუალებთან შერწყმამ საცეკვაო ელემენტებთან

განაპირობა ის, რაც საქართველოს გამოარჩევს სხვა ქვეყნებისგან თავისი ორიგინალურობით და ისტორიით, რომელიც გადმოგვცემს ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებულ კულტურას და წეს-ჩვეულებებს.

„ქართული სული , ვაჟკაცურ ცეკვებში
ამღერებული,
ხან დინჯი, როგორც ლიელო, ხან ფიცხი,
გახელებული,
მკლავებში გამომწყვდეული, ოცნება,
უსაზღვროება,
ქალ-ვაჟთა ტრფობის უკვდავი და უნაზესი
ჰოემა,
რაც კი უხსოვარ დროიდან ჩვენს გულში
ცეცხლად ანთია,
ქართველ ხალხს, ქართულ ცეკვებში
ჩაუქსოვ-ჩაუხატია.“

ამ სიტყვებით გახსნა ყველასათვის საყვარელმა წამყვანმა, ცარო მარტიაშვილმა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იმედის“ საიუბილეო ღონისძიება.

ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“ 2007 წელს დაარსდა დედოფლისწყაროში. 10 წელი გავიდა მას შემდეგ და ამ დღის აღსანიშნავად, 30 ნოემბერს კულტურის სახლის სააქტო დარბაზში საიუბილეო საღამო გაიმართა. ამ წლების მანძილზე მათ მუნიციპალიტეტში და მის ფარგლებს გარეთ უამრავ კონცერტზე, დათვალიერებაზე, ფესტივალზე მიიღეს მონაწილეობა და ყოველთვის დიპლომებით, სიგელებითა და მედლებით ხელდამშვენებულები ბრუნდებოდნენ უკან. იგი ასევე ბულგარეთში გამართული საერთაშორისო ფოლკლორის „ვარსკვლავთცვენის“ მონაწილე და პრიზიორია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათ მიერ ჩატარებული ყველა კონცერტი საქველმოქმედო ხასიათისაა.

2013 წელს კონცერტიდან შემოსული თანხა, მახათას მთაზე სამონასტრო კომპლექსის და წმინდა ელია თეზბიტელის სახელობის ტაძრის მშენებლობებს მოხმარდა.

2014 წელს „იმედის“ მიერ გამართული კონცერტიდან შემოსული თანხა მთლიანად გადაეცა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს.

2015 წელს აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახებს დაუდგნენ გვერდში, ხოლო გასულ წელს ჩატარებული კონცერტიდან შემოსული თანხა მთლიანად „სოლიდარობის ფონდს“ გადაეცა.

30 ნოემბერს გამართული კონცერტი , რომელიც ასევე კონკრეტული ქველმოქმედებისთვის იყო გამიზნული, საინტერესო და დატვირთულ პროგრამას მოიცავდა. აქ წარმოდგენილი იყო საქართველოს თითოეული კუთხის ცეკვა, რომელშიც ანსამბლის ქორეოგრაფის, პედაგოგ ხვიჩა ზუბიაშვილის ხელწერა შეინიშნებოდა, რადგან თვითმყოფადობა და სრულიად თავისებური ცეკვის სტილი გამოარჩევს მათ სხვებისგან. ხვიჩა მასწავლებლის მოსწავლეა №1 სჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელი გიორგი ნატროშვილი, რომელიც წელიწადზე მეტია, გვერდში უდგას ანსამბლს და ცდილობს, მიღებული გამოცდილება ახალბედებს გაუზიაროს. გიორგის გადაწყვეტილი აქვს, ქორეოგრაფიულ სასწავლებელში სწავლის გაგრძელება.

საღამოზე ფართო სპექტრით იყო წარმოდგენილი ქართული ცეკვები. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ „სამაია“, „აჭარული“, „ხორუმი“, „დავლური“, „დაისი“, „ოსური“, „ქალთა მთიულური“, „სატრფიალო“, „ყაზბეგური“. ტრადიციას არ უღალატეს და ანსამბლს გვერდით დაუდგნენ ვოკალური დუეტები ელენე ღვინიაშვილისა და მარიამ ყოჩიაშვილის სიმღერით“თბილისი“და მალვინა ისმაილოვასა და ანასტასია ყოჩიაშვილის სიმღერით „შემოდგომა“(პედ.ნინო ნიკვაშვილი). გოგონების არაჩვეულებრივმა ხმის ტემბრმა და პროფესიონალურმა ნამღერმა მაყურებლის დიდი ოვაციები დაიმსახურა. კონცერტს რამოდენიმე სიმღერით სტუმრობდა „ნიჭიერის“ მონაწილე სოფ. სამრეკლოდან ნათია პაპუაშვილი, რომელმაც ასევე კიდევ ერთხელ აღაფრთოვანა მსმენელი. კონცერტს ჰყავდა დებიუტანტი ირაკლი ბეგიაშვილი, რომელმაც თავისი ნამღერით სასიამოვნო სიახლე შემოიტანა საღამოზე.

საღამოს დასასრულს, ანსამბლმა ტრადიცია არ დაარღვია და მოწვეული საპატიო სტუმარი, ყველასთვის კარგად ცნობილი მომღერალი, ლევან ლაზარიშვილი წარუდგინა მაყურებელს თავისი საინტერესო რეპერტუარით. გასულ წლებში მათ საქველმოქმედო კონცერტებს სტუმრობდნენ ნატო გელაშვილი, ნუგზარ კვაშალი, ნიკოლშოუ და სხვები.

საიუბილეო ღონისძიების დასასრულს ანსამბლმა განსაკუთრებული მადლობა გამოუცხადა N1 საჯარო სკოლის დირექტორს ეთერ ოთარაშვილს იმ ყურადღებისა და თანადგომისათვის, რასაც ის წლების განმავლობაში იჩენს „იმედის“ მიმართ. კონცერტიდან შემოსული თანხაც სკოლას გადაეცა საჩუქრად.

საქველმოქმედო-საიუბილეო კონცერტს უამრავი მაყურებელი ჰყავდა. გადაჭედილ დარბაზს ოვაციებით ავსებდნენ მონაწილეთა მშობლები, პაპა-ბებიები და გულშემატკივრები. აქ იმყოფებოდნენ გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლები და კულტურის სფეროს ყველა თანამშრომელი.

მასალა მოამზადა ელზა ხარაშვილმა

კიდევ ერთი ლამაზი დღე

29 ნოემბერს მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლმა ჩაატარა კიდევ ერთი “ მხიარული და საზრიანი“ ღონისძიება „მანსანკანი“. ეს იყო შემოდგომის სეზონის 1 ტური ქედის ზონაში. ღონისძიება ჩატარდა არხილოსკალოს სკოლაში, რისთვისაც მადლობას ვუხდით სკოლის დირექტორს მაია სიმონიძეს.

კონკურსში ერთმანეთს ეჯიბრებოდა ორი გუნდი: არხილოსკალოს მასპინძელი გუნდი „ გაუქმდა, გაუქმდა“ და ზემო ქედის N1 სკოლის გუნდი „შერეკილები“.

დებულების მიხედვით გუნდებს ჰქონდათ ოთხი დავალება: მისალმება, საშინაო დავალება – სავიზიტო ბარათი, ერთი სიმღერის კონკურსი და კითხვა-პასუხი.

თვითეულ დავალებას ეთმობოდა 3-5 წუთი და მოითხოვდა იუმორისტულ, მაგრამ ამავე დროს საზრიან და შინაარსიან პასუხებს. ორივე გუნდი საკმაოდ მონდომებით ასრულებდა მიცემულ დავალებებს, განსაკუთრებით სახალისო და საინტერესო იყო ბლიც კითხვები, რომელსაც სვამდა ღონისძიების ავტორი და წამყვანი თამარ აბულაძე. ორივე გუნდის პასუხები იყო იუმორისტულიც და თემატურადაც გამართული. თუმცა, მეტი ქულები მოაგროვა ზემო ქედის „შერეკილებმა“ და ფინალში მონაწილეობის „საგზურიც“ მან მიიღო. გამარჯვებული გუნდი სიგელით დაჯილდოვდა.

ფინალამდე კი კიდევ საშემოდგომო სეზონის ორი ტური გვაქვს ჩასატარებელი რაიონის სკოლებს შორის და ე.წ. „მაჩხაანის“ ზონაში. მათგანაც გამარჯვებულები მონაწილეობას მიიღებენ ფინალში. ფინალი გაიმართება გაზაფხულზე, შემოდგომის ტურები კი უახლოეს დროში.

კონკურსს აფასებდა ჟიური შემდეგი შემადგენლობით: განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი, რესურსცენტრის უფროსი ეთერ დავითაშვილი, სააღმზრდელო ცენტრის სპეციალისტები: ეკა პოპიაშვილი და ნინო კვიწინაშვილი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგი მაყვალა მაძღარაშვილი.

ღონისძიებამ საკმაოდ კარგად შეასრულა თავისი მისია – ერთი ლამაზი დღე გვაჩუქა ჩვენც – მსმენელებს და მონაწილე ბავშვებსაც.

მადლობა ყველას, ვინც ხელი შეგვიწყო ამ ღონისძიების ჩატარებაში. ჩვენ კი – მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, კიდევ ბევრ ლამაზ დღეს გპირდებით.

თამარ. ლაპიაშვილი

ფოტოამბავი

ვარდიკო ბოსტოღანაშვილი

ათეული წლების მანძილზე რაიპოლიკლინიკის მედდა, ამჟამად მარტოხელა, 85 წლის პენსიონერი, შრომისუუნარო, უსახლკარო, არის სათნოების სახლის ბენეფიციარი, წლებია, მდგმურად ცხოვრობს, თუმცა, შეწყვეტილი აქვს, როგორც სოციალური დახმარება, ასევე ბინის ქირით დაფინანსება. რედაქცია დაინტერესდა, თუ რატომ შეუწყდა ასეთ მიუსაფარ ადამიანს ეს დახმარებები და მივმართეთ სოციალური სამსახურს, საიდანაც გვაცნობეს, რომ აღნიშნულ პიროვნებას 2015 წლიდან შეწყვეტილი აქვს სოციალური დახმარება, რადგან მას არ აქვს ელექტროენერგიის და გათბობის ინდივიდუალური მრიცხველები, ბინის მეპატრონესთან ერთად ირიცხება დეკლარაციაში და მისი საცხოვრებელი პირობები ვეღარ აკმაყოფილებს სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭებას ქულათა რაოდენობის მიხედვით. მიუხედავად ამისა, აქვს საშუალება, ისარგებლოს უფასო მედიკამენტებით. რაც შეეხება ბინის ქირის შეჩერებას, აქაც იგივე ბინა აღმოჩნდა მიზეზი, რომელშიც ვარდიკო ცხოვრობს, რადგან სახლის მეპატრონეს არ აქვს იგი საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული და გამგეობა ვეღარ უზრუნველყოფს პირს საცხოვრებელი ფართის ქირის გადახდით.

ერთადერთი, რის გაკეთებაც შევძელით მისთვის, ვცადეთ, აგვეხსნა, შეეცვალა საცხოვრებელი ადგილი, რათა მას მისცემოდა საშუალება, დაებრუნებინა სოციალურად დაუცველის სტატუსი და ესარგებლა ბინის ქირის დაფინანსებით, თუმცა, მან სხვადასხვა პირადი მიზეზების გამო აღნიშნულზე უარი განგვიცხადა.

ვის ეკუთვნის „შავი ოქრო“?

რამდენიმე დღის წინ დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა ქალბატონი ლალი გურასპაულის ორგანიზატორობით საკმაოდ საინტერესო, თემატურად განსხვავებულ შეხვედრას უმასპინძლა. შეხვედრა კონფერენციის სახით იქნა წარმოდგენილი და მას მუზეუმის ღვაწლმოსილი მუშაკი დალი ბაღაშვილი უძღვებოდა. მასალები, რომელსაც გაზეთში იხილავთ, მთლიანაც ქალბატონი დალის მიერ გახლავთ მოპოვებული მეზეუმში დაცული ექსპონატების და ლიტერატურის საფუძველზე. ეს გახლავთ ისტორიული, ჩვენი რაიონის მოსახლეობისთვის მეტად ინფორმაციული მასალა. საუკუნეების წინ ილია ჭავჭავაძე ჩვენს წიაღისეულზე წერდა: „კახეთში მთელი ტბებია ნავთობისა, ყოველდღე აქ პოულობენ ნავთობის ახალ-ახალ საბადოს, ბევრი ნავთი არის არა მარტო ბაქოში, არამედ დედოფლისწყაროში-ო“, შემდეგ კი აგრძელებს -„აქაური კაცი მაინც ძალიან ღარიბია, თუმცა წიაღისეული სიმდიდრე არ აკლია, აი, თუნდაც ავიღოთ თუქურმიშის ნავთი, -იყო დრო როდესაც ნავთის ხმარება საწვავად მარტო შეძლებულ ხალხს შეეძლო, მაგრამ დიდი ხანი არ გაივლის, რომ ნავთი სრულიად ჩაანაცვლებს ქონსა და ზეთს,რომლებიც უწინ დიდ პატივში იყო.“

რა სიმდიდრეს ვფლობთ, რა რაოდენობის ნავთობი მოიპოვებოდა წლების მანძილზე შირაქის, ელდრის მიწებზე, ვის ხელში იყო წლების მანძილზე შავი ოქროს საბადო ?

პირველი წერილობითი წყარო, რომელშიც მოიხსენიება ქართული ნავთობი, ეს არის ცნობილი ვენეციელი ვაჭრის -მარკო პოლოს წიგნი „მოგზაურობა ჩინეთში“(მე-XIIIს. IIნახ.) სადაც წერს: „ხოლო(სომხეთის) ჩრდილოეთით ძევს იგი გეორგიანა, ადგილი შესანიშნავი წყაროებით, რომლებიდანაც მოედინება ზეთისმაგვარი პეტროლიუმის სითხე, რომლებსაც წვავენ ლამფებში და იყენებენ როგორც საკმაოდ სასარგებლო საშუალებას ბევრი ავადმყოფობის დროს. მეზობელი ქვეყნებიდან ამ სითხისთვის ბევრი ვაჭარი მოდის, ხოლო ეს წყაროები ისე სწრაფად მოედინებია, რომ იმით ტვირთავენ აქლემებს და მიაქვთ მეზობელ რაიონებში. საქართველოში ნავთობის ყველაზე ძველ საბადოდ ითლება ნავთლუღის, შირაქის და ელდრის ნავთობის წყაროები.

1825 წელს ცარსკიე კალოდცში (ახლა დედოფლისწყარო) ჩამოვიდა ცნობილი გერმანელი მეცნიერ-ბუნებისმეტყველი ედუარდ ეიხვალდი. ადგილმდებარეობის გაცნობის შემდეგ, მეცნიერის ყურადღება მიიპყრო მლაშე ტბამ მირზაანთან, რომელშიც აღმოაჩინა ნავთობის კვალი. შირაქის ტერიტორიაზე მან მოინახულა ადგილები, რომელიც მიწას შავ ლაქებად ემჩნეოდა, ნიადაგი იყო გამოფიტული, უნაყოფო და გამოთქვა ვარაუდი ნავთობის მარაგის შესახებ. თუმცა, მისმა აღმოჩენებმა ვერ დაუდო სათავე ნავთობის მოპოვებას.

პირველი ცნობა შირაქის ნავთობის შესახებ განეკუთვნება 1845 წელს, როდესაც ვინმე ისმაილ შამადი ოღლიმ განცხადებით მიმართა კავკასიის მეფის ნაცვალს სამმართველოს ნავთობის მოპოვების მიზნით ამ მიწების მისთვის გამოყოფის თაობაზე. 1848 წელს, ამიერკავკასიის სახაზინო პალატამ გამოიკვლია ელდრის და შირაქის საბადოები და გარკვეული ვადით მიაქირავა კერძო პირებს 1050 მანეთად წელიწადში. ამ საბადოებში 1864 წელს მოქმედი 53 ჭიდან წელიწადში 785 ტონა ნავთობი მოიპოვეს, რასაც ინახავდნენ 17 თიხის ჭურჭელში, გააკეთებდნენ მცირე სიღრმის ორმოს და დაგროვილ ნავთობს ტიკებით იღებდნენ. ზოგჯერ ორმოებს 20-30 მეტრამდე აღრმავებდნენ. ამოღებულ ნავთობს მოჰყვებოდა წყალი, რომელსაც გამოყოფილი ნავთობი წყლისა და ჰაერის ზემოქმედებით ნავთობი ნავთფისად იქცეოდა და ხუფავდა იმ ნახვრეტებს, საიდანაც ნავთობი გადმოდიოდა. პერიოდულად ჭაში ბედიით უშვებდნენ მუშას, რომელიც ხელით გლეჯდა ნავთფისის ქერქებს, მაგრამ 8-10 მ სიმაღლეზე მუშაობა შეუძლებელი ხდებოდა, რადგანაც გამოიყოფოდა მხუთავი აირი. ჭების გათხრა წერაქვით და ნიჩბით ხდებოდა. ნავთობის მოპოვება განსაკუთრებით გაიზარდა გერმანული ფირმა „სიმენსის“ საქართველოში შემოსვლის შემდეგ.

მათ თბილისის გუბერნიაში სპილენძის გადამამუშავებელი ქარხანა ააშენეს, რომლისთვისაც საწვავს ბაქოდან იღებდნენ. რაც მათ მუშაობას ორმაგად ართულებდა, ამიტომ ალტერნატიული გზის ძიება დაიწყეს და მათ კახეთში, კერძოდ, დედოფლისწყაროსა და მირზაანში ნავთობის საბადოების შესახებ ინფორმაცია მოიპოვეს. ამ საბადოზე სამუშაოები 1863 წლიდან მიმდინარეობდა ჩილიკოვის ხელმძღვანელობით. იმ დროს საბადოს ხაზინაში 12 000 მანეთის შეტანის სანაცვლოდ 12 000 ფუთ ნავთობს აწვდიდნენ. სიმენსებმა 1865 წლიდან, 12 წლის ვადით, შირაქის და ელდრის ნავთობსარეწები კონცესიით აიღეს და პირველი საძიებო სამუშაოებიც ჩაატარეს. სიმენსების კლანის უფროსმა ვალტერ და ვერნერ სიმენსებმა ნავთობიანი ადგილები 9 ჯგუფად დაყვეს და გაბურღეს სამი ჭაბურღილი, (უფრო ადრე, ვიდრე ბაქოში) თითოეული მათგანი ტუმბოების საშუალებით 1, 5- 2 ტ ნავთობს იძლეოდა დღე-ღამეში. ვოლტერ სიმენსმა ნავთობის შესანახად მოაწყო აუზები 7 მ. დიამეტრით და 3, 5მ შიგნიდან ცემენტით ამობათქაშებული კედლებით და 96 ტ ნავთობის ტევადობით- სულ წელიწადში ნავთობის ამოღებამ 30 000 ვედროს მიაღწია. 1869-76წწ. შირაქის და ელდრის საბადოებზე მოპოვებულ იქნა 12 399 ტ. ნავთობი. გაიბურღა 122 ჭაბურღილი, რომელთა სიღრმე ცვალებადობდა 8-65 მ ფარგლებში და მხოლოდ ერთი მათგანი აღწევდა 107 მეტრს. ვალტერ სიმენსმა დედოფლისწყაროში მოაწყო ნავთობსახდელის ქარხანა 4 ქვაბით. 1868 წლის სექტემბერში ქარხანაში პირველად პროდუქტს ნავთი წარმოადგენდა. ამ ქარხანას 8 კაცი ემსახურებოდა. 1869-1874 წლებში აქ გადაამუშავეს 6171 ტ ნავთობი და მიიღეს 1221 ტ. ნავთი. 173 ტ. ბენზინი,144ტ. მძიმე ზეთი და 3420ტ. ნარჩენები. სხვაობა გადამუშავებულ ნავთობსა და მიღებულ პროდუქციას შორის 1131 ტ. დაიკარგა აორთქლების შედეგად. შემდგომში სიმენსმა გამოიმუშავა გაზოილი, ლიგროინი და ატარებდნენ ცდებს გამანათებელი გაზის მიღებაზე.

ნარჩენებისგან დაამზადეს მანქანის ზეთები, ფისი, ყავარი სახურავებისთვის, კოქსი, გუდრონი და ასფალტი. სხვათაშორის ვერნერ სიმენსი თბილისის გუბერნატორს სთავაზობდა ამ ასფალტით ქალაქის ტროტუარების გაკეთებას.

1883-86 წლებში თითოეული ჭაბურღილიდან წელიწადში იღებდნენ 14-16 ტ. ნავთობს. ბენზინი იყიდებოდა თბილისში, ნავთი კი სიღნაღსა და დედოფლისწყაროში. გამოხდის ნარჩენები კი, დედოფლისწყაროში განლაგებული ტვერის დრაგუნთა პოლკის ყაზარმების გასათბობად და პურის საცხობად გამოიყენებოდა.

საინტერესო ფაქტია ისიც, რომ შირაქში, ელდრის და მირზაანის სარეწების სიმენსებისთვის გადაცემა შეთანხმებული იყო გენერალთან და ცნობილ პოეტთან გრიგოლ ორბელიანთან, რომელიც იყო კავკასიის ტექნიკური საზოგადოების საპატიო წევრი და კურირებდა ნავთობის ათვისების საქმეს საქართველოში. 1887 წლიდან შირაქის და მირზაანის სარეწებს დაეპატრონნენ სიღნაღელი ვაჭრები - ძმები ოთაროვები, რომლებმაც ააშენეს ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა. აქ იყო 122 ჭაბურღილი. ბურღვა წარმოებდა ხელით, საცავი მილების გარეშე, რის გამოც ჭაბურღილის კედლები 3-4 თვის ექსპუატაციის შემდეგ იქცეოდა. მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა, უფრო ღრმა ჭაბურღილები გაეკეთებინათ და გადაეკვეთათ უფრო მდიდარი ფენები, სადაც ნავთობი ამოვიდოდა, ამიტომაც 1908 -12 წლებში მათი სარეწაო მოწყობილობების უქონლობის და სხვა მიზეზების გამო დაიხურა.

20-ე საუკუნის ბოლოს, საბადოზე ფეხი მოიკიდეს ცნობილმა კომპანიებმა „ფრონტერამ“, „რამკომ“ „კანარგომ“. 1999 წელს ნავთობის მოპოვების სადღეაღამისო მოცულობა შეადგენდა 18 ტონას. ამავე წელს 5000 ტონა ნავთობით დატვირთული პირველი ცისტერნები დასავლეთის მიმართულებით გაემართნენ, ფრონტერამ საერთაშორისო ბაზარზე გაიტანა და გაყიდა სუფთა ნედლეული. ფრონტერას ვიცე-პრეზიდენტმა მაშინ განაცხადა, რომ საქართველო არ არის ქუვეითი, არც აზერბაიჯანი. ეს არის საქართველო, რომელსაც დიდი რაოდენობის ნავთობი აქვს.

ამჟამად კომპანია მწარე ხევზე მოიპოვებს მძიმე ნავთობს, ტარიბანაზე მსუბუქს, ხოლო ნაზარლებზე - საშუალო ნავთობს. ამჟამად კომპანიის მთელი ყურადღება მიმართულია სავარაუდო ბუდობების გეოლოგიის შესწავლისაკენ. 2006 წელს კომპანიამ მოახდინა 400 000 დოლარის ინვესტირება.

საინტერესო მასალის წარმოდგენა სლაიდების საშუალებით ხდებოდა, ეკრანზე ვნახეთ წარმოდგენილი ფოტომასალა, რომელიც სარეწაოს ტერიტორიებს ასახავდა. აქვე ვიხილეთ სარეწაოში მომუშავე ღვაწლმოსილი მუშაკების ფოტომასალა, ესენი იყვნენ: არსენ ზაგაევი, გიორგი ქავთარაძე, დიმიტრი ელაშვილი, ვლადიმერ ელოშვილი. შეხვედრაზე საპატიო სტუმრის სტატუსში მოწვეულები იყვნენ სარეწაოს ის ღვაწლმოსილი მუშაკები, რომლებმაც ნახევარ საუკუნეზე მეტი ამ სფეროში მუშაობას შეალიეს. ესენი გახლდნენ: ვახტანგ ქისტაური, ბორის გორაშვილი, ოთარ ელოშვილი.

ქალბატონმა დალიმ მათ სიტყვაში გამოსვლა სთხოვა. საკმაოდ ამაღელვებელი იყო ბორის გორაშვილის გამოსვლა. მისმა საუბარმა დამსწრე საზოგადოებიდან ბევრს მოჰგვარა თვალზე ცრემლი, ხოლო მისი სარეწაოში მუშაობის სტაჟი- 63 წელი საზოგადოებამ ტაშით შეაფასა.

„პატარა შირაქის და მირზაანის ნავთობსარეწაოში მუშაობის 63 წლის სტაჟი მაქვს. რამდენიმე წლის წინ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო დავანებე თავი, დამთავრებული მქონდა ინსტიტუტი ნავთობის სპეციალობით, მუშად მიმიღო ბარბაქაძემ, ვიყავი ჭების კაპიტალური და მიწისქვეშა შეკეთების ბრიგადაში, აქედან გადავედი ნავთობის მოპოვების ოპერატორად, ოპერატორობიდან - ოსტატად. შემდეგ კაპიტალური და მიწისქვეშა შეკეთების ცალკე ბრიგადა

გამოიყო, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი. ნათქვამია, რომ ყველაფერს თავისი დასაწყისი და დასასრული აქვსო, ესე იყო ნავთობის მრეწველობაშიც. ნავთობის მრეწველობაში ერთადერთი ძირითადი საშუალება იყო ჭების შეკეთება, ტუმბოების შეცვლა, ნავთობთან ერთად მოდიოდა ქვიშა. რომელიც ჭაში ივსებოდა და ნავთობის მოპოვებას ამცირებდა. ჩემი ბრიგადების მეშვეობით ვრეცხავდი ამ ჭებს, რის შედეგადაც კარგი შედეგი იყო და ნავთობის მოპოვებას ვზრდიდით. მე ვხელმძღვანელობდი ნავთობის ქვიანი ჭების გარეცხვას. იყო ამორტიზებული ჭები, რომელიც წლების მანძილზე არ ამოწმენდილა, დაახლოებით, 23 ჭა. სამი წლის განმავლობაში ვუტარებდი აღდგენით სამუშაოებს ამ ჭებს. ერთ მილიმეტრიანი ჭურჭელი დღე-ღამეში 50 ტონა ნავთობს იძლეოდა, მაგრამ ამ ყველაფერს ყურადღება უნდოდა. ეს კი ნამდვილად მოაკლდა 90-იანი წლების დასაწყისში ჩვენს ჭაბურღილებს, რაც შემდგომ პერიოდზეც აისახა, ნავთობმა იკლო. ყურადღება არ იყო კარგი და ამ ჭებმა ისევ დაიკლეს. მოხდა ისე, რომ დაიშალა ქვეყანა, ყურადღების მიქცევი არავინ იყო,სახელმწიფოს საკუთრებაში აღარაფერი დარჩა, ძალიან ნაკლები ყურადღება ექცეოდა, ამ უყურადღებობით როგორღაც გავიტანეთ და შემდეგ გამოჩნდა ამერიკელი ინვესტორი „ფრონტერა“ რომელმაც ითავა ამ წარმოების ხელში აღება. პირველ ხანებში მართლა ძალიან დიდი ყურადღება იყო, სპეცტანსაცმელიც კარგი იყო, კვებაც, გაბურღეს ახალი ჭაბურღილები, რის საშუალებითაც უნდა შეენარჩუნებინათ ნავთობის მოპოვება. ამას სჭირდებოდა მილიონობით თანხა, ინვესტორს რა აინტერესებს? -მას სურს ნაკლები დანახარჯით მეტი მოგება და შემოსავალი მიიღოს, მაგრამ იმდენი ხანი შეჩერდა ჭების გაწმენდითი სამუშაოები კრიზისის გამო, რომ „ფრონტერამ“ ბურღების შედეგად დიდ ნავთობს ვეღარ მიაკვლია. იმათაც ხელი აიღეს მუშაობაზე და ბოლო დროს მოხდა ისე, რომ სამი-ოთხი წელია, სპეცტანსაცმელიც კი აღარ მიუციათ მუშებისთვის. 25 წლიანი ხელშეკრულებაა დადებული და, მგონი, 2024 წელს გასდის ვადა ხელშეკრულებას. ცოტაღა დარჩათ და მერე, თუ სახელმწიფომ ითავა ჩვენი საკუთარი საბადოს მიხედვა, კარგი იქნება. რატომ უნდა ჰქონდეთ ამერიკელებს დედოფლისწყაროელების საბადო?! ქართველების საბადო, ქართველებს უნდა ჰქონდეთ. თუ მკითხავთ, დღეს როგორ ვარ?- გეტყვით: ნავთობსარეწაოში მუშაობის 63 წლის სტაჟის მქონე კაცი ვარ და 180 ლარი პენსიით ვცხოვრობ. ყველას უნდა არსებობა, ყველას უნდა ცხოვრება, მაგრამ რაღაც სხვაობა უნდა იყოს, დამსახურებული ხალხი და უმუშევარი ხალხი უნდა გაირჩეს ერთმანეთისგან“. -ამბობს შირაქის ნავთობსარეწაოს დამსახურებული მუშაკი ბორის გორაშვილი.

მასალაზე მუშაობამ და შეხვედრაზე გამოთქმულმა აზრებმა გააჩინა კითხვები: დღეს რა მდგომარეობაა ნავთობმოპოვების კუთხით, რა რაოდენობით მოიპოვებენ, სად გადის მოპოვებული ნედლეული, რამდენი თანამშრომელია დასაქმებული, რამდენად არსებობს პერსპექტივა, რომ წიაღისეულის მოპოვება გაფართოვდეს და წარმოებამ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინოს, ამასთან დაკავშირებით ჩვენ დავუკავშირდით სარეწაოს დედოფლისწყაროს მენეჯერს გიგლა ჯანიაშვილს, მან გადაგვამისამართა „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ თბილისის ოფისში. ოფისის პრესსამსახურის წარმომადგენელმა ჩაინიშნა ჩვენი კითხვები და დაგვპირდა, რომ ყველა შეკითხვაზე შეეცდება, პასუხები წერილობით გვაცნობოს, თუმცა, ამ ეტაპამდე პასუხი არ მიგვიღია.

ლალი მეხრიშვილი

არბოშიკი, ანსამბლი „ხორნაბუჯი“ და ხალხური სიმღერები მათ სოფელში

თუ გინდათ, გაიგოთ, როგორ პურ-ღვინობდნენ ჩვენი წინაპრები სუფრასთან, რა გრძნობით ხნავდა მეგუთნე მიწას, ან რა ფიქრით იყო შეპყრობილი მეურმე კაცი, როგორ უვლიდნენ ვაზს, როგორ ჰკრეფდნენ ყურძენს და როგორ აყენებდნენ ქვევრში ღვინოს, ქართულ ხალხურ სიმღერებს უნდა მოუსმინოთ, რომელშიც ძალიან ღრმა აზროვნად და ფილოსოფიურადაა გადმოცემული ყოველივე, თუ ვინ ვართ, რანი ვართ და საით უნდა წავიდეთ. სულ ცოტა ხნის წინ სწორედ „ხორნაბუჯის“მიერ სოფელ არბოშიკში შესრულებულმა ხალხურმა სიმღერებმა ქართულ ტრადიციებთან ფეხდაფეხ მატარა და შემახსენა ჩვენი წარსული, გუთნისდედა, ქვევრის ღვინის მადლი, ქართული აკვანი, მასთან ჩამომჯდარი ქართველი ქალი და იმაზე მეტად შევიგრძენი ქართველობა, ვიდრე აქამდე.

რამდენიმე დღის წინდედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრთან არსებული ხალხური სიმღერების ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ხორნაბუჯი“ ცენტრის ხელმძღვანელთან ნონა ჯიბღაშვილთან ერთად სოფელ არბოშიკს სტუმრობდა. არბოშიკის კულტურის სახლის (დირექტორი ლუიზა ხუციშვილი) სცენაზე ანსამბლი „ხორნაბუჯი“ ახალგაზრდა ხელმძღვანელის, ლექსო გრემელაშვილის თაოსნობით წარსდგა.

შესრულდა სიმღერები: „ურმული“ ლექსი გრემელაშვილის სოლისტობით, „ჩაკრულო“, „კახური მრავალჟამიერი“, „ოროველა“ „ზამთარი“, „ბინდისფერია სოფელი“, „ტურფანი სხევან ჩარდახსა“ შესრულდა ვასიკო მაჭარაშვილის სოლისტობით, „ბერიკაცი ვარ“, „წინწყარო“, „დაიგვიანეს“, „თამარ ქალო“. სიცივის მიუხედავად

დარბაზში თავი მოეყარათ სოფლის ბავშვებს, პედაგოგებს, ჭარმაგ ადამიანებს, ხალხური სიმღერების დამფასებლებს.

სცენაზე იდგნენ „ხორნაბუჯის“ ღვაწლმოსილი მომღერლები: ვასილ მაჭარაშვილი, ვასილ ტუხაშვილი, ვასილ სიმონიშვილი, ლევან ხუნაშვილი, ვახტანგ ლეკიაშვილი, ზურაბ პოპიაშვილი, ვალერი ნატროშვილი, ზურაბ წყარუაშვილი, გიორგი ბაჩანაძე, რომელთა მხრებმაც მოიტანეს დღევანდლამდე ქიზიყური სიმღერები.

ღონისძიება ძალიან თბილ და სასიამოვნო გარემოში დასრულდა. „შირაქმა“ ორიოდე სიტყვით ანსამბლის ხელმძღვანელი ლექსო გრემელაშვილი ჩაწერა.

-ბატონო ლექსი, თქვენ უკვე ერთ წელზე მეტია, „ხორნაბუჯს“ ხელმძღვანელობთ. არბოშიკი ისტორიული სოფელია, როგორც ლეგენდა ყვება, აქ თავის დროზე ფეხი დაუდგამს თამარს და ერეკლე მეორეს. რას ნიშნავს თქვენთვის, როგორც ლოტბარისთვის და როგორც „ხორნაბუჯის“ ხელმძღვანელისთვის ამ სოფელში სიმღერა?

-ჩვენი მიზანია ქართული ხალხური სიმღერის აღდგენა-პოპულარიზაცია, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია ხალხური სიმღერა მოასმენინო იმ ხალხს და იქ გააჟღერო, საიდანაც წარმოიშვა, სადაც შეიქმნა. რაც შეეხება კონცერტებს, იმედი მაქვს, გაგრძელდება. ეს მხოლოდ არბოშიკი არ არის, სხვა სოფლებშიც აუცილებლად მივალთ და აუცილებლად ჩავატარებთ.ვფიქრობთ, სიცივის მიუხედავად შევძელით და განწყობა შევქმენით.

-ძალიან მაინტერესებს თქვენი თვალით დანახული ქიზიყური სიმღერები, თუ არის შენარჩუნებული იმ სახით თქვენს რეპერტუარში, როგორც აქამდე ხალხმა მოიტანა?

-ანსამბლში ძალიან გამოცდილი, კარგი მომღერლები არიან, რომლებიც ასრულებენ ადგილობრივ ვარიანტებს და რაც ჩამოვედი, პირიქით, აქაური ვარიანტებიც მათგან შევისწავლე. საკმაოდ ბევრია და კიდევ მოსაძიებელია. რაიონში ძალიან ბევრი ხალხია, რომლებთანაც აუცილებლად მივალ და მათგან ჩავიწერ აქაურ ვარიანტებს.

კახეთის სხვა სოფლების სიმღერების შესახებ, ვცდილობთ რომ სხვა სიმღერებიც შევიტანოთ, მაგალითად თელავური, ყვარლის, გურჯაანის ვარიანტები.

-„ლექსო გრემელაშვილი არის თელავის რაიონის მკვიდრი, განსაკუთრბულად კარგი და ნიჭიერი ახალგაზრდაა, ნამდვილი კარგი ქართველი, რომელსაც აქვს უდიდესი პოტენციალი და სრულიად იხარჯება ქართული სისხლის, ქართული ჯიშისა და გენის შენარჩუნებისთვის. იგი საუკეთესო სიმღერის კულტურას ბოლომდე აზიარებს ჩვენს მსმენელს, ძალიან დიდ კონსულტაციებს უწევს მგალობლებსაც. თვითონ არის თელავის ერთ-ერთ ტაძარში მგალობელი და ასევე თელავშიც ასწავლის ფოლკლორს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ჩვენი ტრადიციები არ დაიკარგოს. ასეთი ახალგაზრდები უმრავლოს ღმერთმა ჩვენს ქვეყანას. ორი წელია, რაც ჩვენთან მუშაობს. ეს დღეც მისი ინიციატივაა, რომ ნამდვილი ქართული ხალხური სიმღერის ხმა სოფლებამდე მივიდეს და სოფელს ესმოდეს ხალხური სიმღერის ხმა.მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ ხელი შევუწყო ყველაფერი ხალხურის და ტრადიციულის აღორძინებას ჩვენს რაიონში, მათ შორის ანსამბლ „ხორნაბუჯშიც“ ”-აღნიშნა ჩვენთან საუბარში დედოფლისწყაროს კულტურის და სპორტის ცენტრის ხელმძღვანელმა ნონა ჯიბღაშვილმა.

შეხვედრა სოფლის მაცხოვრებლების „ხორნაბუჯის“მომღერლებთან სამახსოვრო ფოტოების გადაღებით დასრულდა.

ლალი მეხრიშვილი

აივ/შიდსი არ ნიშნავს სასიკვდილო დიაგნოზს

1 დეკემბერი შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა!

„დედოფლისწყაროს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი”-ს თანამშრომლები ჩაერთვნენ შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო კამპანიაში.

მას შემდეგ ეპიდემიამ მსოფლიოში 28 მილიონამდე ადამიანი იმსხვერპლა, მაგრამ, ამ მართლაც შემაშფოთებელი სტატისტიკის მიუხედავად, შიდსთან ბრძოლის დღე სევდასთან ერთად მრავალ სხვა მნიშვნელობასაც ითავსებს. ამ დღეს განსაკუთრებით აქტუალური ხდება ის ფართო სოციალური და კულტურული ფონი, რომელიც შიდსს მისი გაჩენის დღიდან ახლავს.

შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომის, იმავე შიდსის, შესახებ სამყარომ პირველად 1982 წელს გაიგო, როდესაც მეცნიერებმა დაადგინეს, რომ 70-იანი წლების ბოლოდან გახშირებული იშვიათი სახის პნევმონიის, სიმსივნეებისა და სხვა დაავადებების გამომწვევი მიზეზი იმუნური სისტემის დაქვეითებაა. 1984 წელს დადგინდა შიდსის გამომწვევი ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის, ანუ აივ ინფექციის, არსებობაც. მას შემდეგ ორ ათწლეულზე მეტი დრო გავიდა და შიდსი გლობალიზაციის პროცესების გავლენის ქვეშ მყოფი სამყაროსთვის ერთ-ერთი, მართლაც, გამაერთიანებელი პრობლემა გახდა.

საქართველოში შიდსის რამდენიმე ათასი შემთხვევაა ოფიციალურად რეგისტრირებული, მაგრამ, ექსპერტთა აზრით,რეალური რიცხვი ბევრად მეტია.

2017 წლის 11 თვის მონაცემებით, აივ/შიდსის 577 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, - აღნიშნული მონაცემები, შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრმა გაასაჯაროვა.

ცენტრის ინფორმაციით, საქართველოში სულ რეგისტრირებულია აივ/შიდსის 6 711 შემთხვევა, მათგან 5013 მამაკაცი და 1698 ქალია, ინფიცირებულთა უმრავლესობის ასაკი 29-დან 39 წლამდეა.

შიდსის ცენტრის ხელმძღვანელის თენგიზ ცერცვაძის განცხადებით, განსაკუთრებით საგანგაშოა მამაკაცებს შორის სქესობრივი კავშირის დროს გავრცელების შემთხვევები და ამ მხრივ, ბოლო 10 წლის განმავლობაში გავრცელების მაჩვენებელი 5%-დან 25%-მდე გაიზარდა.

“ზოგადად ნარკომანებს გასწორ ჰეტეროსექსულური გზით გადაცემის შემთხვევებმა. 44% მოდის ჰეტეროსექსუალური გზით გადაცემის შემთხვევებზე, ხოლო 43% - ნარკომანიის, მაგრამ განსაკუთრებით აღინიშნება ძალიან საგანგაშო ზრდა მამაკაცებს შორის სქესობრივი კავშირის დროს გადაცემის. ამ მხრივ, ბოლო 10 წლის განმავლობაში გავრცელების მაჩვენებელი 5%-დან გაიზარდა 25%-მდე. ყოველ მეოთხე მამაკაცს, რომელსაც აქვს სქესობრივი კავშირი მამაკაცთან, აქვს შიდსი”, – განაცხადა თენგიზ ცერცვაძემ.

ასეთი სტატისტიკური და სოციოლოგიური მონაცემების მიღმა, ცხადია, კონკრეტული ადამიანების გამოცდილება დგას. რიცხვებით და ციფრებით განზოგადებული სურათი მიიღება, მაგრამ შიდსის პრობლემასთან უშუალო შეხება ინდივიდუალურ და მრავალფეროვან ცხოვრებისეულ ისტორიებს წარმოაჩენს. სწორედ ერთ-ერთი ასეთი კონკრეტული ისტორიის შესახებ გვესაუბრა ჩვენი რესპონდენტი, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, რაც ამ ვირუსს ატარებს:

„ეს მოხდა უკრაინაში, - იქ ვსწავლობდი 93 წელს. სამი-ოთხი წელი ვიყავი ნარკოტიკების მომხმარებელი. დავაპირე წამლის მიტოვება. მივატოვე, მაგრამ ცუდად ვხდებოდი, სიცხეები მქონდა. იმ დროს უკრაინაში, ასე ვთქვათ, მოდაში იყო: ყოველი მეორე სპიდიანი იყო უკრაინელ ნარკომანებში. მეც გადავწყვიტე გასინჯვა. უკრაინაში გავესინჯე, მაგრამ არ აღმომაჩნდა. ჩამოვედი თბილისში, ისევ ცუდად ვიყავი. მერე მოვხვდი სეფსისის ცენტრში და იქიდან გადამიყვანეს შიდსის ცენტრში. ეს იყო 97 წელი“.

ვირუსისგან განკურნება კვლავ განუხორციელებელ მიზნად რჩება; მაგრამ არსებობს მედიკამენტები, რომლებიც ვირუსის მატარებელ პირს მნიშვნელოვნად უმსუბუქებს მდგომარეობას.

მაგრამ სამედიცინო პრობლემების გარდა, შიდსი უშუალოდ უკავშირდება სოციალურ და კულტურულ ფაქტორებს. აივის და შიდსის გლობალურმა ეპიდემიამ, ერთი მხრივ, ადამიანებს განახლებული ძალის თანაგრძნობა, სოლიდარობა და თანადგომა მოუტანა. მაგრამ მას შემდეგ, რაც მეცნიერებმა აივ და შიდსის იდენტიფიკაცია მოახდინეს, დაავადებას ისეთი სოციალური ფონიც სდევს თან, როგორიცაა შიში, სტიგმა და დისკრიმინაცია: ვირუსის მატარებელი ადამიანები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ირიყებიან ოჯახებიდან და სამეგობროებიდან; მათ ათავისუფლებენ სამსახურებიდან და ხშირად უარს ეუბნებიან სამედიცინო მომსახურებაზე:

გარკვეული ნაწილი, რომლისთვისაც ცნობილია პრობლემის სერიოზულობა, მაგრამ უცნობია მისი დაძლევის გზები, ცდილობს გარიყოს და თვალიდან მოიშორის ხალხი, ვისაც ეს პრობლემა უკვე შეეხო. ეს, გარკვეულწილად, თავის მოტყუებაა.

შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო და ლოკალური ორგანიზაციები თანხმდებიან, რომ ეს ბრძოლა კომპლექსური და მრავალპლანიანი უნდა იყოს. აუცილებელია ფართო საზოგადოებას მიეწოდოს ინფორმაცია შიდსისგან თავის დაცვის შესახებ; მაგრამ ასევე აუცილებელია იმ ადამიანების ყოფაზე ზრუნვა, რომლებსაც ეს ვირუსი უკვე შეეხო. ჩვენი რესპონდენტის მაგალითზე კარგად ჩანს, რომ ცხოვრება შიდსის დიაგნოზის დასმის შემდეგაც კი შეიძლება პოზიტიური იყოს:

„დამალვა არ ყოფილა. დიაგნოზი როგორც კი დამისვეს, უფრო ფეხზე დავდექი, შევხედე ცხოვრებას, ჩემს მშობლებს, ძმას, ძმისშვილებს; ცხოვრება გრძელდება და ამას წინ არაფერი დაუდგება. მშობლები მშობლებია - განიცადეს, ძმამაც; მაგრამ მე რომ ვაჩვენე, რომ ყველაფერი კარგად არის, რომ მე აქ ვარ, მათ გვერდით, ამით ცხოვრობენ, ჩემი იმედით. მე კიდევ ცოლი მოვიყვანე და ცხოვრებას მივყვები, კიდევაც ვმუშაობ. დიაგნოზის შემდეგ დავქორწინდი; ეს ექიმების გვერდში დგომით მოხდა. ექიმებმა გამაცნეს ჩემი მეუღლე, ისიც ჩემსავითაა დაავადებული. უკვე მეორე წელია, რაც ცოლ-ქმარი ვართ“.

აივ/შიდსი არ ნიშნავს სასიკვდილო დიაგნოზს. მართალია, ჯერჯერობით არ არსებობს ამ ვირუსისგან ორგანიზმის საბოლოოდ განდევნის მეთოდი, თუმცა, შესაძლებელია ვირუსის გამრავლებისა და იმუნიტეტის დასუსტების პროცესის შეჩერება, მკურნალობის უახლესი მეთოდების შედეგად, აივ/შიდსი გადაიქცა მართვად, ქრონიკულ მდგომარეობად, ვირუსი ორგანიზმში რჩება, მაგრამ ის არ აზიანებს მას. მკურნალობის შედეგად, ადამიანები სრულფასოვანი ცხოვრებით ცხოვრობენ ათწლეულების განმავლობაში, რა თქმა უნდა, თუ მათი სიკვდილის მიზეზი რომელიმე სხვა დაავადება, ან უბედური შემთხვევა არ გახდა.

მასალა მოამზადა
ინგა შილაშვილმა

1960 WLIS DEKEMBERI

○ CVENS RAIONSI DIDI POLITIKURI DA SROMITI ARMAVLOBIT CATARDA WITELWYAROS SAXALXO MOSAMARTLISA DA SAXALXO MSAJULEBIS ARCEVNEBI. 18 DEKEMBERS DILIDANVE GAMOCOCXLDA DABA-SOFLEBI. MOSAXLEOBA SABWOTA MARTLMSAJULEBIS POSTZE IRCEVDNEN TAVIANT SVILEBS, ERTGUL MSAXUREBS. FARULI KENWISYRIS UMRAVLESOBIT WITELWYAROS SAXALXO MOSAMARTLED ARCEULIA WAMOYEEBULI KANDIDATI SOLOMON BESARIONIS ZE BOSTORANASVILI. ASEVE ARCEULIA 70 MSAJULI, ROMELTA SIAS GAZETI DETALURAD AQVEYNEBS.

○ SOFEL MIRZAANSI, AXALGAZRDEBIS ERTIJGUFI GAURBIS SAZOGADOEBISTVIS SASARGEBLO SROMIS VALDEBULEBAS. DROIS METNAWILS ISINI KARTIS TAMASS ANDOMEBEN. AQADGILI XSIRAD AQVS CXUBSA DA XULIGNOBIS SEMTXVEVEBS. ZEMO MACXAANSI MCXOVREBMA ORMA AXALGAZRDAM DEBOSI ATEXA DA KANTORASI DANIT DASWRA SOFEL MIRZAANSI MCXOVREBI MIXEIL GOBEJISVILI. ASEVE ADGILI HQONDA QURDOBASAC, ARC SAZOGADOEBRIVI WESRIGIS RAZMEULI DA ARC AMXANAGURI SASAMARTLO AM SAQMEEBIT AR DAINTERESEBULA.

○ SOFELI JAFARIZE ERTERTI MOWINAVEA, SESANISNAV WARMATEBEBS MIARWIES. SOFLIS KETILMOWYOBISA DA MSROMELTA KULTURULI DONIS AMARLEBISTVIS SAKUTARI MONAWILEOBIT AASENES KULTURIS SAXLI, SKOLISA DA SAEQIMO UBNIS SENOBEBI. SOFELSI EQIMIS DANISVNAZE MRAVALI DAPIREBA ARSEBOBS, SENOBAC KETILMOEWYO, MAGRAM TAVAD EQIMI AR CANS. IVNISIS TVESI CVENTAN EQIMAD MUSAOBDA SOFLIS MKVIDRIL. BOSTORANASVILI, MAGRAM IGI RAICENTRSI GADAIYVANES DA JAFARIZE KVLAV UEQIMOD DARCA. EQIMIS TANASEMWEEBS KI ARSEUZLIAT SEASRULON EQIMIS MOVALEOBA. AMITOM MOSAXLEOBAS WITELWYAROSI WASVLA UXDEBA, IQ KI EUBNEBIAN, MIMARTET TQVENI SOFLIS EQIMS, AQ RATOM AMODIXARTO. SAINTERESOA, RODEMDIS UNDA GAGRZELDES ASE?

○ ARBOSIKSI TRAQTOREBS KI VAREMONTEBT, MAGRAM GUTNEBI ARA GVAQVS. CVENI MEQANIZATOREBI MINDVRIS SAMUSAOEBIS DAMTAVREBISTANAVE SEUDGNEN TRAQTOREBIS REMONTS. MAGRAM, GAZAFXULISTVIS AR GAGVACNIA SAKMARISI RAODENOBIS GUTNEBI, KULTIVATOREBI DA ZOGIERTI SXVA MANQANA-IARAREBI. MAT SEMOZIDVAZE NAKLEBAD ZRUNAVS WNORIS MANQANATVAWROBIS WITELWYAROS FILIALI.

○ UKVE 8 WELIA, 1952 WLIDAN WITELWYAROSI MUSAOBS KIRIS QARXANA. TUMCA, MASIN MXOLOD 1 QURA MUSAOBDA. MAS SEMDEG YOVELWLIURAD IZRDEBA DA LAMAZDEBA QARXANA DA MISI EZO-MIDAMO. GAIZARDA WARMOEBA, MASZE MOTXOVNA GAATMAGDA DA QUREBIS ODENOBAMAC IMATA.



○ SIRAQIS MEFRINVELEOBIS DASAXLEBASI KINOS MOITXOVEN, SENOBA KI AR AQVT. MIMDINARE ZAFXULS 7 JER UCVENES KINOSURATI DA ISIC RIA CIS QVES. MAGRAM AXLA ZAMTARIA, MAYUREBLIS RIA CIS QVES GACEREBA ARAR SEIZLEBA. CVENS TXOVNAZE MEURNEOBIS DIREQCIAM `IZRUNA~ DA GAMOYO 30 KVADRATULI FARTOBIS OTAXI, SADAC UNDA MOTAVSDES KINOAPARATI, MAYUREBELIC DA EKRANIC. ES KI MOUXERXEBELIA OTAXIS SIMCIRIS GAMO. DIREQCIAS VTXOVET, OTAXS GAREDAN MAINC MIASENOS KINOKAMERA, MAGRAM ARAFERI GAKETEBULA.

1979 WLIS DEKEMBERI

○ WITELWYAROS RAIPOLIKLINIKIS SENOBIS UKAN DASASRULS UAXLOVDEBA AXALI SABAVSVO BAGA-BARIS TIPIURI, ORSARTULIANI TANAMEDROVE SENOBIS MSENEBLOBA, ROMELSAC SOFLMSENIS MOZRAVI MEQANIZEBULI RAZMI ASENEBS. AXAL WELS PATAREBI UKVE AXAL SENOBASI SEXVDEBIAN DA AXAL KEDLEBSI IZEIMEBEN.

○ ROCA KOLEQTIVSI ARAKOLEGIALOBAA, SEDEGEBIC UMAL ICENS TAVS. UAMRAVI NAKLOVANEBA SEINISNEBA KAVSIRGABMULOBIS RAIONULI KVANZIS MUSAOBASI. VER AUTVISEBIAT KAPITALURI REMONTISTVIS GAMOYOFILI TANXEBI. SUL 20 SAFOSTO GANYOFILEBA MOQMEDEBS, SAIDANAC 18 VER ASRULEBS GEGMEBS. ARASWORAD GAICA PREMIEBI, MOSLILIA SASEMSRULEBLO DISCIPLINA. KADREBTAN MUSAOBA DABALDONEZEA, SESUSTEBULIA KONTROLI DA MOMTXOVNELOBA. DRITIDRE IZRDEBA SATELEFONO DAZIANEBATA RAODENOBA, RAIONIS 6 SOFELI DA QALAQ WITELWYAROS MRAVALI BINA RADIOFIKACIIS GARESEA.

○ KAVSIRGABMULOBIS RAIONULI KVANZIS GAZETEBIS DAMXARISXEBELI GANYOFILEBA SOFEL ARBOSIKS YOVELTVIS AKLEBS JURNAL-GAZETEBS. KVANZIS UFROSMA V. -MAZRARASVILMA PASUXIS GACEMAC AR IKADRA, ROM ARAFERI VTQVAT PRAQTIKULDAXMAREBAZE. MIMDINARE WELS RAMDENJERME SEVAMOWMET SASOFLO SABWOSI MOSULI JURNAL-GAZETEBIS GANAWILEBA, RADGAN MOSAXLEOBA UKMAYOFILO IYO, CVENAMDE ARMODIS SRULYOFILI PRESAO. FOSTALIONEBI KI CIODNEN, ROM GAZETEBS SAKMARISI RAODENOBIT AR AWVDIAN WITELWYARODAN. AQAMDE KIDEV VITMENDIT, IQNEB GAMOSWOREBULIYO, MAGRAM AXLA UKVE AIVSO MOTMINEBIS FIALA, MOTMINEBA ARAR SEGVIZLIAN. AMASWINAT ERT DRES AKLDA 43 EGZEMPLARI `KOMUNISTI~, MEORE DRES 37 EGZEMPLARI, `LELO~ SAERTOD AR IYO.

○ FOTOZE XEDAVT QALAQIS VAGZLIS WINMDEBARE `CISFER TBAS~. WITELWYAROS RKINIGZIS SADGURIS WIN MDEBARE ORROBESI ASETI VITAREBAA. ES ERTEULI SEMTXVEVA AR ARIS, TEATRALIZEBULI VITAREBAA WITELWYAROSI TEATRIS QUCAZE. YOVELGVARI DEKORACIEBIS GARESE AQ ISEDAC KOMIKURI VITAREBA IQMNEBA.

(STILI DACULIA)

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

მ ა დ ლ ო ბ ა

ცოტახნის წინ უკვე ორმოცი დღე გავიდა ჩემი მეუღლის ვანო ბიკაშვილის გარდაცვალებიდან. მთელი ცხოვრება ვიცოდი და ვგრძნობდი, რაოდენ მნიშვნელოვანია ადამიანების თანადგომა და თანაგრძნობა ყოველთვის, მით უმეტეს, ჭირში. მინდა, მადლიერების გრძნობით აღვნიშნო, რომ ამ ხნის მანძილზე, გარდაცვალებიდან დღემდე, მე და ჩემს შვილს მხარში გვიდგანან ახლობლები, მეგობრები, მეზობლები. გვინდა, მადლობა ვუთხრათ ყველას, ვინც გაიზიარა ჩვენი მწუხარება ოჯახის უფროსის გარდაცვალების გამო.

ნაზი მოსაშვილი ოჯახით.

მონატრება

დემურ აფციაური



დრო გადის. წელი წელს მიჰყვება. ტკივილი კი არ ყუჩდება.

1 დეკემბერი მტკივნეულია ჩვენი ოჯახისთვის. ამ დღეს დაგვტოვე და გადახვედი მარადიულ სასუფეველში. მეცამეტედ მოვიდა შემოდგომა უშენოდ. ძნელია გაუძლო გაუსაძლის ტკივილს, როცა იცი, რომ ის აღარ დაბრუნდება.

შენ იყავი კარგი მამა, კარგი მეუღლე, კეთილი იყავი ყველასთვის, მეზობლებისთვის, ახლობლებისთვის. სულ გზას გაჰყურებდი და შვილები გენატრებოდა. ახლა კი ჩვენ გავყურებთ გზას და გვენატრები. ხშირად მოვდივართ შენს საფლავზე და გინთებთ სანთლებს, ყოველთვის გილოცავთ დაბადების დღეს. ზაფხულში ირა,აჩიკო და მაკა აქ იყვნენ. ყველა ერთად მოვედით შენს საფლავთან. ასე გვეგონა შენი სული ზემოდან დაგვცქეროდა და გიხაროდა ყველას ერთად რომ გვხედავდი. უფალს შევთხოვთ, რათა ნათელში იყოს შენი სული ზეციურ სასუფეველში, სადაც ნეტარ არიან მორწმუნენი. შენს მშობლებთან, ძმებთან, ბიძაშვილებთან ერთად, იქიდან ილოცე შენი ოჯახისა და შვილებისათვის. იძინე მშვიდად ჩვენო საყვარელო მამიკო, მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი ქართული მიწა.

წლები მიჰყვება წლებს, ცხოვრება იცვლება მალი-მალ,
ჩვენო საყვარელო დემური, გვენატრები ძალიან.

ეკა, მაკა, აჩიკო, მადლენა აფციაურები.

ვაჟა ხუციშვილი

2 დეკემბერს ორი წელი გახდა, რაც ამქვეყნიური ცხოვრება დატოვე ჩემი ძვირფასო ძმაო, ვაჟა. უმძიმესი აღმოჩნდა ჩემთვის იმ მწარე რეალობასთან თვალის გასწორება, რომ შენ ასე მოულოდნელად მძიმე სენი შემოგეპარა და ასე ნაადრევად დატოვე წუთისოფელი. შენ ხომ ჩემთვის ყველაზე ძლიერი ზურგი, ყველაზე დიდი იმედი იყავი. შენით ვარსებობდი, მაძლიერებდი შენი ჰუმანური ბუნებით და ადამიანთა მიმართ უდიდესი სიკეთით აღსავსე დამოკიდებულებით, შენით მქონდა ძლიერი სული. განუკურნებელი სენი შემოუჩნდა შენს ძლიერ სხეულს და ვერც კი გავიგეთ, ისე წაგართვა ჯანმრთელობა. მუდამ ექიმის მოშიშარი, ექიმებთან ვიზიტს გაექეცი და ეს არმოჩნდა შენი ბედისწერა, დაგვიანებით მიხვედი სამკურნალოდ და შედეგმაც არ დააყოვნა. ეს საშინელი განცდაა ჩემთვის, ვერაფერი გიშველეთ. რა გავაკეთო, ვაჟა, როგორ მოვიქცე, იქნებ კვლავ მომაწვდინო ხმა და მომცე დარიგება. დაბნეული და განადგურებული ვარ, ჩემო ძმაო. მარტოობაში დამტოვე შენი ერთადერთი და. შენგან მუდამ განებივრებულს, ძალიან მიჭირს უშენობა, ძნელია მარტოობა, მარტოობა, რომელიც შენი წასვლისთანავე ჩემი მუდმივი მეგობარი გახდა. მუდამ თვალწინ მიდგას შენი ჩამოსვლის დღეები, უდიდეს სიხარულს შემოიტანდი ხოლმე, უბით მოგქონდა ჩვენი მშობლიური სახლის დიდი სიყვარული. მგონია კარს შემოაღებ, მაგრამ შენ ფერფლადქცეული დამიბრუნდი მოსკოვიდან. საუკეთესო სახელი დატოვე, მხოლოდ მე და დედას კი არა, ჩემს მეგობრებს და თანამშრომლებსაც კი ანებივრებდი. შენ წახვედი, ვაჟა, მაგრამ უმაღლესი შეფასებით წახვედი იმ საზოგადოებიდან, სადაც შენ ტრიალებდი, სადაც შენ გიცნობდნენ. 16 წლის იყავი, როდესაც ჩახვედი მოსკოვში, იქ მიიღე იურიდიული განათლება და მთელი ცხოვრება ძალოვან სტრუქტურაში მუშაობას შეალიე, მაიორის წოდებით გამოხვედი მათი რიგებიდან და ღირსეული პენსია მიიღე. ჩემს თანამშრომლებს დღესაც ახსოვთ შენი მუდმივი ყურადღება და პატივისცემა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩამოსულიყავი და წვეულება არ მოგეწყო ჩემი კოლექტივისთვის. ყოველდღიურად გვეხმიანებოდი ტელეფონით და ჩვენს ამბავს დაწვრილებით კითხულობდი. შეუფასებელი ძმა დაგკარგე, საუკეთესო ადამიანი და იყავი და სწორედ ეს მტკენს გულს, რომ ასეთი კეთილი და ასეთი კარგი, როგორ არ დაგინდო წუთისოფელმა. 62 წლის წახვედი ამქვეყნიდან და მე გაუთავებლად ვტირი, წამლად დაგეფინოს ჩემო ძვირფასო ძმაო ჩემი ცრემლი იმქვეყნიურ სასუფეველში. მჯერა, ნათელში ხარ. ილოცე ჩემთვის, რომ უშენოდ დარჩენილმა შევძლო გავუმკლავდე ამქვეყნიური ცხოვრების სირთულეებს, ჩემო ვაჟა!

შენი და დალი ხუციშვილი

ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის დედოფლისწყაროს საზოგადოების სახელით საზოგადოების თავმჯდომარე ვანო ნატროშვილი, თანათავმჯდომარე ნანა ჭიჭინაძე, მდივანი ლია ჩოქური, გამგეობის წევრები: ნაირა გორაშვილი, ინგა შიოლაშვილი, გოდერძი გონაშვილი, გენადი შიოლაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ამავე საზოგადოების აქტიურ წევრს, ქველმოქმედსა და წარმატებულ ფერმერს გია ნატროშვილს მამის

ზოსიმე ნატროშვილის

გარდაცვალების გამო.

ძეგლების „პროტესტი“

ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, გალაკტიონ ტაბიძეს, დავით გურამიშვილს, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ თუმანიშვილს, მუზას ფილარმონიის წინ და სხვებს თბილისში სუნთქვა აღარ შეუძლიათ, ამიტომაც მათ პირბადეები აიკრეს. ეს მესიჯი „ჟანგბადის ნინძებმა“ გააჟღერეს — მოხალისეების ჯგუფმა საკუთარი პროტესტი ჰაერის დაბინძურების თაობაზე ამ ფორმით გამოხატა. გუშინ, პირბადიანი ძეგლების საკითხით შინაგან საქმეთა სამინისტროც დაინტერესდა და გაისმა განცხადებები საქმის აღძვრის თაობაზეც უცნობი აქტივისტების გამოვლენისა და დასჯის მიზმით. თბილისის ვიცე მერმა ირაკლი ხმალაძემ კი საკითხს იმდენად სერიოზულად მოჰკიდა ხელი, რომ ამ ყველაფერში ძირითადი მესიჯი ხელიდან გაუშვა და ძეგლები შეურაცხყოფილად წარმოაჩინა. თუმცა, სიტუაციაში გარკვევის შემდეგ, პოზიცია შეიცვალა და როგორც თბილის მერმა კახა კალაძემ განაცხადა, „ის ორი დღეა, პირბადით დადის“...



შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ საქმისთვის მსვლელობა არ მიუცია. რედაქციებმა კი მიიღეს ფერადი ასოებით აწყობილი წერილები აქციის ავტორებისგან, სადაც მითითებულია ისიც, რომ ძეგლებს პირბადეებს სამ დღეში მოხსნიან.

ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი, რაც აქციის ძირითადი თემა გახლდათ, მართლაც საგანგაშოა დღევანდელ საქართველოში. მიუხედავად დაპირებებისა მთავრობის მხრიდან, დაბინძურების მაჩვენებლის შესამცირებლად საჭირო ღონისძიებები არ გატარებულა. გასულ წელს გამოქვეყნდა ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს კვლევა, რომლის თანახმად საქართველო ჰაერის დაბინძურების გამო სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყანაა. მას შემდეგ ხელისუფლებამ სააგენტოს ინფორმაციის განახლება მოსთხოვა და ახალი მაჩვენებლები წარუდგინა. ახალმა კვლევამ მდგომარეობა, მართალია, მსოფლიოში ყველაზე უარესი არა, მაგრამ კვლავაც ძალიან მძიმე აჩვენა.

თამარ ბაგრატია, გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ამბობს: „გარემოს ეროვნული სააგენტო არის უწყება, რომელიც ახორციელებს ჰაერის ხარისხის მონიტორინგს ჩვენს ქვეყანაში. ინდიკატორიული გაზომვები ასევე მონიტორინგის სადგურები სხვადასხვა ქალაქებში გვაჩვენებს, რომ იკვეთება ადგილები, სადაც ჰაერის სხვადასხვა დამაბინძურებელის მოცემულობა აღემატება ზღვრულად დაშვებულ ნორმას. ასეთი ქალაქებია: თბილისი, რუსთავი, ბათუმი, ქუთაისი. ყველაზე პრობლემურ ჰაერის დამაბინძურებლად იკვეთება მყარი შეწონილი ნაწილაკები, ანუ მტვერი. გვაქვს შემთხვევები, როდესაც დაბინძურება ერთჯერად ზღვრულად დასაშვებ ნორმას აღემატება რამდენჯერმე. მეორე ყველაზე პრობლემური დამაბინძურებელი, რა მიმართულებითაც გვაქვს ყველაზე მეტი გადამეტება, არის აზოტის დიოქსიდი, რისი მთავარი წყარო გახლავთ ტექნიკურად გაუმართავი ავტომობილები. მყარი შეწონილი ნაწილეკების წყარო კომპლექსურია. ის შეიძლება იყოს როგორც მშენებლობა, მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა და ასევე გაუმართავი ავტომობილები.“

იმის შესახებ, თუ რა ნაბიჯებს დგამს სახელმწიფო ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლის შესამცირებლად და არის თუ არა ეს ადექვატური რეაგირება არსებული პრობლემიდან გამომდინარე, თამარ ბაგრატია გვპასუხობს: „მე შემიძლია გითხრათ, რა უნდა გაკეთდეს ზოგადად და ასევე ის, გარემოს ეროვნული სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში, რა კეთდება. სხვა უწყებებმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნდა გიპასუხონ ამ კითხვაზე. ჩვენ ბოლო ორი წლის განმავლობაში, ჰაერის მონიტორინგის კუთხით და მის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების კუთხით მოვახდინეთ სრული გარდატეხა (ჯერ კიდევ გასული წელს, საქართველოში, შესაბამისი აპარატურის არარსებობის გამო შეუძლებელი იყო ჰაერის დაბინძურების დონის გაზომვა,) ჰაერის. დღეს ჩვენ გვაქვს უახლესი ავტომატური სადგურები თბილისში, ქუთაისში, ბათუმში. ჩვენ ვაკეთებთ ინდიკატორულ გაზომვებს, რომელიც საერთოდ არ კეთდებოდა ადრე და გვაქვს მონაცემები იმის თაობაზე, როგორ ჰაერს ვსუნთქავთ.“

ახალი ბანა გვაერთიანებს

5 დეკემბერს, სამშაბათს, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის კურთხევით ტარდება საქველმოქმედო გალა-კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო დონის საოპერო ვარსკვლავები: კონცერტის ინიციატორი და ინიციატორი გიორგი გაგნიძე, ჩვენი თანამემამულე ლადო ათანელიშვილი, იანო ალიბეგაშვილი, თამარ ივერი, შალვა მუქერია, ქეთევან ქემოკლიძე, ნანა ქავთარაშვილი, მიხეილ კოლელიშვილი, ზურაბ ზურაბიშვილი, თამთა ტარიელი, ნინო ლეჟავა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი (დირიჟორი მაესტრო ზაზა აზმაიფარაშვილი) სამების გუნდი.

შემოსული თანხა მოხმარდება ხაშურისა და სურამის ეპარქიაში მშენებარე ქართული სულიერებისა და ცოდნის ახალი ტაძრის **ბანას მშენებლობას**. ახალი ბანა იქნება ანალოგი იმ უძველესი ტაძრის, რომელიც დღეს თურქეთის ტერიტორიაზეა დარჩენილი და მხოლოდ მისი ნანგრევებია შემორჩენილი.

ილია მეორის ხელდასმით ბანას ანალოგი ტაძრის მშენებლობას უძღვება ხაშურისა და სურამის ეპარქიის ეპისკოპოსი მეუფე სვიმეონი (ცაკაშვილი). **ცნობისთვის:** მეუფე სვიმეონი წარმოშობით ჩვენი თანამემამულეა, იგი ზემო მაჩხაანელია და საეკლესიო ცხოვრების დასაწყისში სწორედ მისი ინიციატივით შეკეთდა ზემო მაჩხაანში წმინდა გიორგისა და მთავარანგელოზის ეკლესიები. მის მიერ განვლილი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ჩვენ უახლოეს მომავალში მოგითხრობთ. ახლა კი მხარში დავუდგეთ ჩვენს თანამემამულეს ამ დიდსა და საშვილიშვილო საქმეში. გალა კონცერტის პირდაპირი ტრანსლაცია სოციალური ქსელით შეგიძლიათ იხილოთ.

შეგიძლიათ, მონაწილეობა მიიღოთ ქველმოქმედებაში. არ დაიზაროთ და დარეკეთ ტელეფონის ნომერზე - 0 901 700 307. ასევე, ნებისმიერ დროს შეგიძლიათ, შესაძლებლობის ფარგლებში, გადარიცხოთ თანხა ანგარიშის ნომრებზე:

- თიბისი ბანკი: GE 13 TB 7894136050100003
- საქართველოს ბანკი: GE 34 BG 000 000 090 143 73 00

მაშ ერთად ავაგოთ სულისა და ცოდნის „ახალი ბანა“-ს ტაძარი.

ულოცავენ!

თამილა ნადირაშვილს!

ჩემო საყვარელო შვილო, თამილა, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას ძმასთან და მის ოჯახთან ერთად.

ღმერთის წყალობა არ მოგკლებოდეს.

ლილი გოგილაშვილი.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 04.12	სამშაბათი 05.12	ოთხშაბათი 06.12	ხუთშაბათი 07.12	პარასკევი 08.12	შაბათი 09.12	კვირა 10.12
დღე	5 °	4 °	4 °	0 °	-2 °	0 °	0 °
ღამე	3 °	3 °	3 °	-2 °	-4 °	-1 °	-1 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქინქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.